

ინვესტორთა საბჭოს მეექვსე სხდომის ოქმი

6 სექტემბერი, 2017 წ., 14:00სთ., სახელმწიფო კანცელარია

სხდომის თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ

ინვესტორთა საბჭოს წევრები:

- გიორგი კვირიკაშვილი, თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი
- დიმიტრი ქუმსიშვილი, ფინანსთა მინისტრი, პირველი ვიცი-პრემიერი
- გიორგი გახარია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
- ილია ელოშვილი, ენერჯეტიკის მინისტრი
- ზურაბ ალავიძე, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრი
- ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი
- ზურაბ ძნელაშვილი, ბიზნესომბუდსმენი
- მაიქლ ქოუგილი, პრეზიდენტი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- სამსონ ფხაკაძე, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
- ზვიად ჭუმბურიძე, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს გენერალური მდივანი
- ფადი ასლი, თავმჯდომარე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა - საქართველო
- ბრუნო ბალვანერა, დირექტორი კავკასია, მოლდოვასა და ბელორუსში, ევრობანკი
- იან ვან ბილსენი, რეგიონალური მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
- მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

მოწვეული სტუმრები:

- სუმა ჩაკრაბარტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი
- ფრანსის მალიჟი, აღმასრულებელი დირექტორი აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში, ევრობანკი
- თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი
- ნინო გვენეტაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
- გიორგი მიქაუტაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
- მათა ცქიტიშვილი, პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის უფროსი
- ლაზლო ჰავასი, დირექტორთა საბჭოს წევრი, ევრობანკი
- ფრანსის დელი, დირექტორის მოადგილე, პრეზიდენტის ოფისი, ევრობანკი
- ოლეკსანდრ პავლუკი, უფროსი მრჩეველი, ევრობანკი
- ნიკოლოზ გაგუა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე
- ნინო ჯავახაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
- მზია გიორგობიანი, სახელმწიფო ვალისა და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ფინანსთა სამინისტრო
- ჩარლზ ფ. სეტენი, ეკონომიკური ოფიცერი, აშშ-ს საელჩო
- ბენ ლუკოვი, რეგიონალური პორტფელის მენეჯერი, ბრიტანეთის საელჩო

- სარა უილიამსონი, ვიცე-პრეზიდენტი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- კრის შლუტერი, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს თავმჯდომარე
- ირაკლი ასლანიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- ჯორჯ უელტონი, აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- ზურაბ კაჭკაჭიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- თამთა შერმადინი, PWC საქართველო, საკონსულტაციო სერვისების უფროსი
- ბექა ინჯია, იურიდიული მრჩეველი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა
- ლორეტა მარტივიანი, ევრობანკი
- გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო,
- ერეკლე კოკაია, ბიზნეს ანალიტიკოსი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო,

პრემიერ-მინისტრის გახსნითი სიტყვა:

გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი:

- მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განსაკუთრებით ევრობანკის პრეზიდენტს, სერ სუმა ჩაკრაბარტის.
- განაცხადა, რომ შედგა ოფიციალური შეხვედრა ევრობანკის მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნა, რომ ევრობანკის ყველა ინვესტიციის ჯამურმა ოდენობამ სამ მილიარდ ევროს მიაღწია.
- მადლობა გადაუხადა ევრობანკს ინვესტორთა საბჭოს შექმნის ინიციატივისათვის, რადგან ის მნიშვნელოვანი პლატფორმაა კერძო სექტორსა და ხელისუფლებას შორის შეკრებისა და ბიზნესებისა და საინვესტიციო კლიმატისთვის მნიშვნელოვანი საკითხებზე სამსჯელოდ.
- აგრეთვე მადლობა გადაუხადა ევრობანკს საქართველოში სასამართლო რეფორმის, განსაკუთრებით კი კომერციული პალატების შექმნის მხარდაჭერისთვის. კომერციული პალატების შექმნა რეგულაციური ნაბიჯი იქნება სასამართლო სისტემის შემდგომი გაუმჯობესების გზაზე.

სუმა ჩაკრაბარტიმ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტმა:

- საქართველო-ევრობანკის ურთიერთობას სამაგალითო პარტნიორობა უწოდა.
- საქართველო მოიხსენია, როგორც ლიდერი მეორე ტალღის გარდამავალ ქვეყნებს შორის, სადაც ბიზნეს კლიმატი და შესაბამისი საკანონმდებლო გარემო დღითიდღე უმჯობესდება.
- ხაზი გაუსვა, რომ ბოლო 18 თვის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ევრობანკის პროექტები ქვეყანაში, რისი ერთ-ერთი მიზეზი ინვესტორთა საბჭოა.
- აღნიშნა, რომ საქართველო მეორე ადგილზეა ევრობანკის მიერ ერთ სულ მოსახლეზე ინვესტიციების მიხედვით.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- მაღლობა გადაუხადა ბრუნო ბალვანერასა და ევრობანკის ადგილობრივ გუნდს გაწეული სამუშაოსთვის, აგრეთვე - მარიამ მეღვინეთუხუცესს საბჭოს სამდივნოს წარმატებული ხელმძღვანელობისათვის.

მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი:

- მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მოწვეულ სტუმრებს, იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძესა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივან გიორგი მიქაუტაძეს სხდომაზე დასწრებისთვის.
- მაღლობა გადაუხადა იუსტიციის მინისტრს კომერციულ პალატებთან დაკავშირებით თანამშრომლობისთვის.
- მაღლობა გადაუხადა ბრიტანეთის მთავრობას იუსტიციის სამინისტროსთვის ტექნიკური დახმარების პროექტისათვის, რომელიც მოიცავს კომერციული პალატების რისკისა და ხარჯ/სარგებლის ანალიზს, კანონმდებლობის მომზადებას, სტრუქტურულ-ორგანიზაციულ და ტექნიკური გეგმის შედგენას, ფინანსურ დაგეგმვასა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კომერციული პალატების მართვის სტრუქტურას.

2017 წლის 14 ივნისს ინვესტორთა საბჭოს შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების სტატუსი

1. სასამართლო რეფორმა:

მომხსენებელი: მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

ძირითადი საკითხები:

- მიუხედავად სასამართლო სისტემის მნიშვნელოვანი პროგრესისა სისხლის სამართლის საქმეებში, სამოქალაქო და განსაკუთრებით ბიზნეს დავები შიდა თუ უცხოელი ინვესტორების მიერ კვლავ სახელდება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.
- პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებისთვის იუსტიციის სამინისტრო ხელმძღვანელობს კომერციული პალატების ჩამოყალიბების პროცესს, რათა შიდა და გარე ინვესტორებს შეექმნათ კომფორტული გარემო ინვესტიციების განსახორციელებლად.
- ინვესტორთა საბჭოს სამდივნო და იუსტიციის სამინისტრო თანამშრომლობენ დონორების მოსაძიებლად, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას კომერციული პალატების ჩამოყალიბებაში დაეხმარებიან.
- ამ ინიციატივისთვის ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენით რამდენიმე დონორი უკვე დაინტერესდა.
- იუსტიციის სამინისტროს კონსულტაციას უწევდა Dechert, რომელმაც შეიმუშვა კომერციული პალატების კონცეფცია.

კომენტარები:

თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრმა:

- ხაზი გაუსვა მიღწეულ წარმატებებს სასამართლო სისტემაში სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართლის მიმართულებით, სადაც მოსამართლეებმა აჩვენეს დამოუკიდებლობა კომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღებით.
- აღნიშნა, რომ ბიზნეს დავები ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად, რის გამოც, კომერციული პალატების ჩამოყალიბება პრიორიტეტს წარმოადგენს. სამინისტრო მზადაა კონცეფციის დეტალებზე დამატებითი კონსულტაციისთვის.
- მადლობა გადაუხადა Dechert-ს გაწეული სამუშაოსთვის; აგრეთვე მადლობა გადაუხადა ევრობანკს და მის პრეზიდენტს რეფორმის მხარდაჭერისათვის, მათ შორის, კომერციული პალატების მომავალი მოსამართლეების ტრენინგის პროექტისათვის, რომლებზეც მთავრობასთან თანამშრომლობს.
- განმარტა, რომ კონცეფციაზე კონსულტაციების დასრულების შემდეგ დაიწყება მუშაობა შესაბამის კანონმდებლობაზე.

ზვიად ჭუმბურიძემ, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს გენერალურმა მდივანმა:

- გამოხატა კმაყოფილება უზენაესი სასამართლოს, თბილისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების მიერ ბიზნესთან წამოწყებული დიალოგისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მას დადებითი შედეგები მოყვება.
- განაცხადა, რომ ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭო უახლოეს მომავალში გეგმავს კონფერენციას ბიზნეს დავებთან და შესაბამის სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით.

მაიკლ ქოუგილი, პრეზიდენტი, ამერიკის სავაჭრო პალატა:

- შეეხო სასამართლოსთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს, მათ შორის, სპეციალური კომისიის შექმნას, რომელიც იქნება კომერციული პალატებისგან განცალკევებული და რომელიც იმუშავებს ზოგადად სასამართლო რეფორმაზე.
- სურვილი გამოთქვა, გაცნობოდა Dechert-ის მიერ მომზადებული მოხსენების სრულ ვერსიას.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- შეატყობინა საბჭოს წევრებს, რომ უკვე არსებობს ახალი ფორმატი პარლამენტში, რომელიც მუშაობს სასამართლო რეფორმაზე და რომელსაც ხელმძღვანელობს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია. ხაზი გაუსვა, რომ ეს პლატფორმა ღიაა დაინტერესებულ მხარეებისთვის.

მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- შეატყობინა საბჭოს წევრებს, რომ ევრობანკის მიერ კომერციული პალატების მოსამართლეების ტრენინგის პროექტი დაიწყება PWC/Dechert-ის პროექტის პირველი ფაზის პარალელურად.
- GIZ ჩაატარებს კომერციული პალატების რეგულირების გავლენის ანალიზს (RIA).
- ინვესტორთა საბჭოს სამდივნო გააგრძელებს მუშაობას, მათ შორის USAID-სა და ევროკავშირთან, ახალი დონორების მოძიების მიზნით კომერციული პალატების შემდგომი მხარდაჭერისთვის.
- განმარტა, რომ ინვესტორთა საბჭოს სამდივნო ითანამშრომლებს პარლამენტში ახლად ჩამოყალიბებულ პლატფორმასთან და მომავალში გააცნობს საბჭოს წევრებს სამომავლო თანამშრომლობის ფორმატს.

ფადი ასლიმ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ:

- კომენტარი გააკეთა კომერციული პალატების ინიციატივასთან დაკავშირებით და შეეხო ორ ძირითად პრობლემას, რომელსაც პალატები უნდა გაუმკლავდნენ:
- ბიზნეს დავების განხილვის პროცესის დაჩქარების საჭიროება და სასამართლოს მიმართ ნდობის ნაკლებობა, რაც განპირობებულია არასათანადო ჩარევებითა და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებით.
- ხაზი გაუსვა, რომ საზოგადოება ელის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პროაქტიულობას საექვო რეპუტაციის მქონე მოსამართლეებთან დაკავშირებით.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- აღნიშნა, რომ იზიარებს მოსაზრებას პროცესების დაჩქარებასა და სასამართლოების განტვირთვასთან დაკავშირებით. ასევე კომერციული პალატების მოსამართლეების ტრენინგის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.
- არ გაიზიარა ბატონი ასლის აზრი საზოგადოების სასამართლოებისადმი უნდობლობის თაობაზე და განმარტა, რომ ნდობა აღდგენის პროცესი მიმდინარეობს.

გიორგი მიქაუტაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი:

- აღნიშნა სასამართლო რეფორმის დადებითი შედეგი, რაც გამოიხატება სარჩელების რაოდენობის ზრდით, თუმცა ამ გარემოებამ სასამართლოების გადატვირთვაც განაპირობა.
- გამოხატა მზადყოფნა, მიიღოს ზომები სასამართლო გამოწვევების საპასუხოდ და ასევე ჩაერთოს დისკუსიებში და მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს.

2. კანონი მეწარმეთა შესახებ

მომხსენებელი: დრ. გიორგი ჯუღელმა, იურიდიულმა ექსპერტმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

- განაცხადა, რომ სამდივნოს სამეწარმეო სამართლის სამუშაო ჯგუფმა დაასრულა მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის განხილვა, რომელიც შეიმუშავა იუსტიციის სამინისტრომ დონორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით.
- განმარტა, რომ ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს სამეწარმეო სამართლის სამუშაო ჯგუფი შედგება წამყვანი ბიზნეს იურისტებისა და ბიზნესის წარმომადგენლებისაგან. მათი კომენტარების მიზანია დაეხმაროს კანონპროექტის ავტორებს, ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით, კანონპროექტის შემდგომ სრულყოფაში.
- გამოხატა იმედი, რომ სამუშაო ჯგუფის კომენტარები გათვალისწინებული იქნება კანონპროექტში, პარლამენტში მის წარდგენამდე.

თეა წულუკიანმა, იუსტიციის მინისტრმა:

- შეატყობინა დამსწრე საზოგადოებას, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად გაანალიზებულ იქნება საკანონმდებლო სიახლეების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, რის შემდეგაც კანონპროექტი წარედგინება პარლამენტს.

მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- სთხოვა სამინისტროებს, რომ ბიზნესების ინტერესებიც და მათი რეკომენდაციებიც გაითვალისწინონ ანალიზის დროს.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- მიმართა დამსწრე მინისტრებს, რომ გაითვალისწინონ მარიამ მეღვინეთუხუცესის თხოვნა და შემოთავაზებული ცვლილებების განხილვისას ყურადღება მიაქციონ ბიზნესების ინტერესებს.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო შეხვდება შესაბამის სამინისტროებს კანონპროექტის პარლამენტში წარდგენამდე რეკომენდაციების განსახილველად.

[დისკუსიის თემები](#)

[საკანონმდებლო ცვლილება სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით](#)

მომხსენებელი: მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა

- წარადგინა მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ (დეტალური რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს მთავრობისთვის მიწერილ წერილში, ოქმის დანართში).

გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი:

- დათანხმდა, რომ საჭიროა კონსულტაციები სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის გამონაკლისებზე, რაც აისახება ორგანულ კანონში.
- დაადასტურა, რომ გამონაკლისების კრიტერიუმები შეთანხმდება დაინტერესებულ მხარეებთან.
- განაცხადა, რომ ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები მოწმდება, რათა არ იყოს წინააღმდეგობა ხელშეკრულებებსა და კონსტიტუციის ტექსტს შორის.
- დაადასტურა, რომ კანონი არ იქნება რეტროაქტიული.

ბრუნო ბალვანერა, დირექტორი კავკასია, მოლდოვასა და ბელორუსში, ევრობანკი:

- დაინტერესდა საკონსტიტუციო ცვლილებებში გამოყენებული ფორმულირების საკითხით.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- დაადასტურა, რომ კონსტიტუციაში მითითებული იქნება „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა“, ვინაიდან სწორედ ეს იყო კანონმდებელთა მიზანი.

სამსონ ფხაკაძემ, ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია:

- მაძღობა გადაუხადა ევრობანკის პრეზიდენტს საქართველოს მხარდაჭერისათვის.
- დაეთანხმა მარიამ მეღვინეთუხუცესის კომენტარებს და იმედი გამოთქვა, რომ ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რჩევები გათვალისწინებული იქნება კანონმდებელთა და მთავრობის მიერ.

მაიკლ ქოუგილმა, პრეზიდენტმა, ამერიკის სავაჭრო პალატა:

- განაცხადა, რომ რაც უფრო დიდ ხანს გაგრძელდება მორატორიუმი, მით უფრო დაზარალდება ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი.

თეა წულუკიანმა, იუსტიციის მინისტრმა:

- განმარტა, რომ ყველა ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულება და მოწოდებული რეკომენდაციები დეტალურად იქნება შესაწავლილი და შედეგი წარედგინება პარლამენტსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს.
- განმარტა, რომ მორატორიუმი გაგრძელდება ახალი ორგანული კანონის ძალაში შესვლამდე.

კრის შლუტერმა, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს თავმჯდომარემ:

- ხაზი გაუსვა ბანკებისთვის მოქნილობის დატოვების მნიშვნელობას, რადგან სხვადასხვა ბანკირს შეიძლება განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასა და გასხვისების დასაშვებ ვადებზე.
- ყურადღება გაამახვილა კანონის არარეტროაქტიულობის მნიშვნელობაზე. აგრეთვე ისაუბრა მინორიტარ პარტნიორებად უცხოელების მონაწილეობის შემთხვევაში, კომპანიის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების მოპოვების შესაძლებლობის აუცილებლობაზე.

ფრანსის მალიჟმა, აღმასრულებელმა დირექტორმა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში, ევრობანკი:

- შეაქო საქართველო, როგორც ქვეყანა, სადაც შესაძლებელია პროდუქტიული და გულახდილი საუბარი ხელისუფლებასთან.
- განაცხადა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების ორწლიანი ვადა არ იქნება ბანკებისათვის საკმარისი ორი მიზეზის გამო: საკუთრების მოპოვებას გარკვეული დრო სჭირდება შესაძლო დავების გამო. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა ციკლური ბიზნესია (ამინდის არამდგრადობის გამო). შესაბამისად, რთულია სასოფლო-სამეურნეო მიწის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება, რაც ბანკებს სესხის გაცემის სურვილსაც უმცირებს და მათ მიერ მიწის შეფასებაზეც უარყოფითად მოქმედებს.
- განმარტა, რომ თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, ამგვარი აკრძალვა შეუსაბამო იქნება კავშირის წევრობასთან, ვინაიდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოების მოქალაქეებს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ.
- ხაზი გაუსვა სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულების შენარჩუნების აუცილებლობას, სამომავლო სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად.
- მაგალითად მოიყვანა ფრანგი და ქართველი ფერმერების პროდუქტიულობას შორის განსხვავება, იმის მისანიშნებლად, რომ პროდუქტიულობის პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს სჭირდება უცხოელების გამოცდილების გაზიარება.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- განაცხადა, რომ ახალი კანონმდებლობა არ იქნება ევროკავშირის რეგულაციებთან შეუსაბამო.

ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრმა:

- ისაუბრა ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმებისა და პროგრამების შესახებ და შეეხო მათ დადებით გავლენას სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარზე და სექტორის მზარდ დინამიკაზე.

იან ვან ბილსენმა, რეგიონალურმა მენეჯერმა სამხრეთ კავკასიაში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია:

- მადლობა გადაუხადა მთავრობის წევრებს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ რჩევებზე ყურადღების გამახვილებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები იქნება გათვალისწინებული.

მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- აღნიშნა, რომ ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს სამუშაო ჯგუფს შესაძლებლობა უნდა მიეცეს გაეცნოს კანონპროექტს, სანამ ის პარლამენტს წარედგინება.

გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრმა:

- დაადასტურა, რომ სამუშაო ჯგუფს ორგანული კანონის განხილვის შესაძლებლობა ექნება.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს სამუშაო ჯგუფი მიიღებს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ ორგანული კანონის პროექტს განსახილველად და მოსაზრებების გამოსათქმელად.

საბჭოს შემდგომი სხდომა გაიმართება 2017 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში

შეხვედრის დღის წესრიგი, სხვა თემებთან ერთად, მოიცავს:

1. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით ტურიზმის საბჭოს ჩამოყალიბებას.
2. საგადასახადო ადმინისტრირება: PWC-ს მიერ ახალი ტექნიკური დახმარების პროექტის განხორციელების პროგრესს.

გიორგი კვირიკაშვილი

მარიამ მეღვინეთუხუცესი

ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი